“ზერძნული დილემა”

ავტორი - მარიამ გაბუნია

მოქმედი პირები:

ალესანდრო, კრეტის მეფე

დიონისია, ალესანდროს ასული

სიკვდილი (განსხეულებულია როგორც მამაკაცი)

სიკეთე(განსხეულებულია როგორც ქალი)

სცენა:

მოქმედება I : მეფის ციხესიმაგრე

სურათი I

შემოდიან ალესანდრო და დიონისია.

ისმის ხმლების ჟღრიალი.

დიონისია:

სადაცაა, ციხესიმაგრეში შემოიჭრებიან, მამა!

ალესანდრო: ნუ გეშინია, ამას არ დავუშვებ!

დიონისია:

გავიგონე, როგორ გეუბნებოდა მთავარსარდალი ჩვენი მეომრები ძალაგამოცლილები არიან,

შემდეგ შეტევას ვეღარ გავუძლებთო!

ალესანდრო:

შენ მაგაზე ნუ ფიქრობ, შვილო. ყველაფერი კარგად იქნება! ღმერთები არ გაგვწირავენ.

დიონისია:

ვაი, რომ უკვე გაგვწირეს!

ალესანდრო (დიონისიას სახეს ხელებში მოიქცევს):

ვერავინ ვერაფერს დაგიშავებს სანამ ცოცხალი ვარ!

(ხმლების ჟღარუნი ახლოვდება)

ალესანდრო:

დიონისია, წადი დაიმალე!

დიონისია:

მარტოს არ დაგტოვებ, მამა!

ალესანდრო (ბრაზიანად):

ახლავე წადი-მეთქი აქედან!

(დიონისია გადის.)

ალესანდრო (იშიშვლებს ხმალს)

(უეცრად სიჩუმე ჩამოვარდება და სცენაზე შემოდის სიკვდილი)

ალესანდრო (შეშინებული):

ვინ ხარ? რა სულიერი!

სიკვდილი:

მე ვარ ის, ვინც საბოლოოდ ყველაფერს ეპატრონება!

ალესანდრო:

ნუთუ თავად ბედისწერა ხარ?!

სიკვდილი: ცოტათი აცდი, თუმცა შეიძლება ითქვას, ბოლოს, ყველას ბედი მაინც მე ვარ. თუ

აქამდე ვერ მიხვდი, ახლა დაგიზუსტებ. თავად სიკვდილი ვარ.

ალესანდრო (ფითრდება):

აქ რისთვის მოხვედი?

სიკვდილი (იღიმის):

აბა თუ მიხვდები?

ალესანდრო:

ჩემს წასაყვანად?

სიკვდილი:

ისევ შეცდი. როგორც ჩანს, დღეს არაფერში გიმართლებს დიდო მეფეო.

ალესანდრო:

ნუღარ მაწამებ, მითხარი რა გსურს!

სიკვდილი:

შენ ამას წამებას ეძახი? ცალი თვალით რომ მაინც დაგანახა რა ემართებათ ურჩ და სასტიკ სულებს,

ეს ყველაფერი ნეტარებად მოგეჩვენებოდა!

ალესანდრო:

აღარ მეტყვი, რისთვის მოხვედი?!

(შემორბის დიონისია და სიკვდილის დანახვაზე გაოგნებული ჩერდება)

ალესანდრო (შვილთან მივარდება)

დიონისია, მე ხომ გითხარი დამალულიყავი!

დიონისია:

ვეღარ გავძელი, შენზე ვღელავდი!

ალესანდრო:

ახლავე უკან დაბრუნდი!

დიონისია (ანიშნებს სიკვდილზე)

მამა, ეს ვინ არის?

სიკვდილი (მამა-შვილს უახლოვდება)

ნება მომეცით, თავად გაგეცნოთ, მეფის ასულო, მე თავად სიკვდილი გახლავართ.

დიონისია (პირზე ხელს აიფარებს):

შეუძლებელია!

სიკვდილი:

სწორედაც რომ შესაძლებელია. თქვენ რა გეგონათ, მე უფერული ღრუბლის მასა ან ცივი ნიავი ვიყავი? არაფერიც. როგორც ყველაფერს ადამიანურს, მეც ადამიანის სახე მაქვს.

ალესანდრო (დიონისიას):

ნუ უსმენ მას შვილო, ტყუილად გაშინებს.

დიონისია:

არ მომწონს, მამა, ეს ამბავი.

ალესანდრო:

სამალავში დაბრუნდი, გემუდარები! ნუ გეშინია, მე არაფერი მომივა.

(დიონისია გადის)

ალესანდრო:

აღარ მეტყვი რისთვის მოხვედი?

სიკვდილი (სკამზე ჩამოჯდება):

პასუხი ახლახანს სამალავში გაისტუმრე.

ალესანდრო (შეჰყვირებს):

რაო, რა თქვი?!

სიკვდილი:

მშვენივრად გაიგონე რაც თქვი.

ალესანდრო (ხელებს მომუშტავს):

ჩემს ასულს ახლოს არ გაეკარო, თორემ!

სიკვდილი (გაიცინებს):

თორემ რა? მომკლავ? საინტერესოა, ამას როგორ მოახერხებ.

ალესანდრო:

რა დაგიშავა ჩემმა ასულმა, განა რა შესცოდა ისეთი, რომ ასე ახალგაზრდა წაიყვანო.

სიკვდილი:

და ვინ გითხრა რომ აუცილებლად უნდა წავიყვანო?

ალესანდრო:

ვერაფერი გამიგია, გთხოვ, ამიხსენი რას გულისხმობ.

სიკვდილი:

მე გარიგებას გთავაზობ, დიდო მეფეო. შემიძლია მტრის ჯარი ერთი ხელის მოსმით დავამარცხო, ასე შენი სამეფოც გადარჩება და ხალხიც, თუმცა სამაგიეროდ დიონისიას წავიყვან.

ალესანდრო:

როგორ? ჩემივე ნებით გაგატანო ერთადერთი ასული?

სიკვდილი:

კარგად დაფიქრდი, მეფეო. ორი არჩევანი გაქვს. პირველი, მე დიონისისას წავიყვან, მაგრამ შენი სამეფო არ დაეცემა და ხალხიც იცოცხლებს. მეორე, მტერი ყველას და ყველაფერს გაანადგურებს და ცოცხალი მხოლოდ შენ და შენი ქალიშვილი დარჩებით.

ალესანდრო (დაჯდება და თავზე ხელებს შემოიჭდობს):

სხვა გამოსავალიც იქნება!

სიკვდილი:

რომ ყოფილიყო აქ არ მოვიდოდი.

ალესანდრო:

ურჩხულო! მხეცო! რატომ მაყენებ ასეთ საზარელ მდგომარეობაში!

სიკვდილი:

მე ყველაფერი გითხარი, ალესანდრო, მზის ჩასვლისთვის პასუხს თუ არ დამახვედრებ, მტერი ყველას დაგხოცავთ: ხალხსაც, შენც და შენს ასულსაც.

(გადის)

ალესანდრო (ბოლთას ცემს):

-ეს რა უბედური დილა გამითენდა! რა ვქნა?! როგორ მოვიქცე?! როგორ გავიმეტო მოსაკლავად ერთადერთი ასული! ან ხალხს როგორ ვუღალატო?

ნუთუ არჩევანი მეფობასა და მამობას შორის უნდა გავაკეთო?! დიონისია რომ ვიხსნა და სამეფო გავწირო, უამრავი ადამიანის ცოდვით უნდა ვიცხოვრო! პირიქით რომ მოვიქცე მაინც უდანაშაულო და თანაც საკუთარი სისხლის დაღვრა მომიწევს! ეს რა ჯოჯოხეთია, მიშველეთ ღმერთებო!

(მუხლებზე დაეცემა)

(ისმის წყნარი მუსიკა, შემოდის თეთრად მოსილი სიკეთე)

-წამოდექი ალესანდრო, კრეტის დიდებულო მეფეო!

ალესანდრო (გაოცებული წამოდგება ფეხზე):

-შენ ვიღა ხარ?

სიკეთე:

-მე სიკეთე ვარ!

ალესანდრო:

-შენ რიღასთვის მოხვედი?

სიკეთე:

-მოვედი რათა არჩევანის გაკეთების სიმძიმე შეგიმსუბუქო!

ალესანდრო:

-როგორ შეძლებ ამის გაკეთებას? სიკვდილმა საშინელი დილემის წინაშე დამაყენა!

სიკეთე:

-პირველ რიგში, მინდა, ერთი კითხვა დაგისვა. შენი აზრით, რა არის სიკეთე?

ალესანდრო:

-სუსტების დაცვა, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა...

სიკეთე:

-კარგია, რომ სამართალი ახსენე. აბა, მითხარი, დიდო მეფეო, რა არის შენთვის სამართალი?

ალესანდრო:

-ამ შეკითხვებს რა კავშირი აქვს ჩემს არჩევანთან?

სიკეთე:

-მოითმინე და გაიგებ. ახლა კი, კითხვაზე მიპასუხე.

ალესანდრო:

-ჩემთვის უსამართლობაა ადამიანს დაუმსახურებლად ატკინო გული, უდანაშაულო დასაჯო, ხალხს კუთვნილი წაართვა...

სიკეთე:

-ერთის სიცოცხლის გამო ათასობით უდანაშაულოს სისხლი რომ დაღვარო?

ალესანდრო:

-ახლა კი ვხვდები, საითაც მიგყავს საუბარი.

სიკეთე:

-დამიჯერე, ჯერ ვერაფერს ხვდები. სიკეთე, ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი ისეთი რთული ცნებებია, რომ მათი ბოლომდე გაგება არავის ძალუძს, მათ შორის არც მე.

ალესანდრო:

-თუ თავადაც არაფერი იცი, მაშ ჩემთან რისთვის მოხვედი?

სიკეთე:

-შენს ტონში კადნიერება ისმის, დიდო მეფეო, დამიჯერე, ეს არას გარგებს.

ალესანდრო (მწარედ ჩაეცინება):

-შვილსა და ქვეყანას შორის არჩევნის გაკეთება მიწევს, ნუთუ ირონიაც აღარ მეპატიება?

სიკეთე:

ჩემზე ნუ ბრაზობ, მე აქ მხოლოდ შენს დასახმარებად ვარ მოსული.

ალესანდრო:

მე კი მგონია, აქ იმისთვის ხარ, რომ შვილის გაწირვის სისწორეში დამარწმუნო.

სიკეთე:

ასე რატომ გგონია?

ალესანდრო (იბნევა):

იმიტომ რომ... იმიტომ...

სიკეთე:

იმიტომ რომ თავად მიგაჩნია ეს სწორად.

ალესანდრო :

არა! არა! არა!

სიკეთე:

საკუთარ გულში ჩაიხედე, დიდო მეფეო, მერწმუნე, ვერავინ გაგცემს პასუხს მასზე უკეთ.

ალესანდრო:

ჩემი გული გაიყინა, გაჩერდა, ძგერა შეწყვიტა! აღარ ძალმიძს მე ასე ყოფნა. ნეტავ მოვკბდებოდე და ამ საზარელ ტანჯვას თავს დავაღწევდე!

სიკეთე:

შენი სიკვდილი, ახლა, არავის არაფერს არგებს! მეტიც, ეს ეგოიზმის უკიდურესი გამოვლინება იქნება!

ალესანდრო:

ეგოიზმის? კიდევ მე ვარ ეგოისტი? ნუთუ, გასაკვირია, ამ საზარელი არჩევანის წინაშე შევდრკე? ნუთუ, გასაკვირია, რომ სასიკვდილოდ ვერც ხალხი გავიმეტო და ვერც შვილი?

სიკეთე:

ეგოიზმი, დიდო მეფეო, გაჭირვების ჟამს მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრია; თქვენ კი სწორედ ამას აკეთებთ, ახლა. ცდილობთ არჩევანს გაექცეთ, რათა იმ საშინელ ტკივილს დააღწიოთ თავი, ასე რომ გიღრღნით გულს. თუ თავს მოიკლავთ ყველაფერი დამთავრდება... მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ, თქვენთვის. რაც შეეხებათ იმ საცოდავ ხალხს, ძლევამოსილი მტრის წინაშე რომ ცახცახებს და თქვენს საყვარელ ასულს... მათ უეჭველი სიკვდილისთვის გაწირავთ! “ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩება ამ ქვეყანაზე”- აი, ამას ფიქრობთ, თქვენ, როცა თვითმკვლელობაზე იწყებთ საუბარს.

ალესანდრო (ცოტა ხანს დუმს):

-უკვე ვეღარ ვხვდები შენ სიკეთე ხარ თუ რიგითი ავსული, რომელიც სიკვდილმა გამოსაცდელად მომივლინა.

სიკეთე (ჩაიღიმებს და თავისთვის იტყვის)

-რა უცნაური რამ ხარ ადამიანო! შენგან საუკუნეების მანძილზე ვიღებდი წიხლს, ზიზღსა და უმადურობას, მაგრამ ბოროტებაშიც თუ შეგეშლებოდი ნამდვილად ვეღარ ვიფიქრებდი.

ალესანდრო:

თქვენ ორნი ისე გავხართ ერთმანეთს რომ მერწმუნე, ბევრს ერევით ერთმანეთში!

სიკეთე:

რას მეუბნები?

ალესანდრო:

რას და სიმართლეს! მოდიხარ აქ და მეუბნები, რომ ჩემივე ნებით გავწირო ერთადერთი შვილი! ნუთუ ამას სიკეთე ჰქვია?

სიკეთე:

საზარელი არჩევანის წინ მე არ დამიყენებიხარ! ეს სიკვდილმა გააკეთა, მე კი მხოლოდ შენს დახმარებას ვცდილობდი!

ალესანდრო:

ჰოდა, ვერ შეძელი!

სიკეთე:

ყოველ ჯერზე მიჩნდება იმედი, რომ საზღვარი აქვს ადამიანის უმადურობას, მაგრამ ყოველ ჯერზე მწარედ მიცრუვდება იმედი.

(გადის)

ალესანდრო(ხელებს ცისკენ აღაპყრობს):

რა ვქნა?! რა გავაკეთო?! როგორ ვზიდო ეს მძიმე ტვირთი! ვაი, რომ ბედმა მეფობა მარგუნა წილად! მე ეს არასდროს მინდოდა, არც არასოდეს მითხოვია! ყველაზე მეტად კი იმას განვიცდიდი, რომ საკუთარ ხვედრზე ჩივილი არ შემეძლო! ხალხი ვერასოდეს გამიგებდა, მისთვის ხომ მეფობა დიდი საჩუქარია, ბედნიერება, რომელიც ერთეულების ხვედრია! რომ იცოდნენ, სინამდვილეში, რა ძნელია იყო გვირგვინოსანი! რა ძნელია იცოდე, რომ მთელი ქვეყანა შენ შემოგყურებს და უფლება არ გაქვს ერთი წამით მაინც იყო სუსტი! ვინ მოთვლის რამდენჯერ მიოცნებია უბრალო ადამიანი ვყოფილიყავი, ახლა კი ამას ისე ვნატრობ, როგორც არასოდეს არაფერი მინატრია! ნეტავ ამ საშინელი არჩევანის წინაშე არასოდეს დავმდგარიყავი! ოჰ, ღმერთებო! რა გავაკეთო! როგორ გავწირო დიონისია, ერთადერთი ასული ჩემი! მე ხომ ის სიცოცხლეს მირჩევნია! ჩემი პაწია გოგონა, მინდვრის ყვავილივით ლამაზი, ნაზი და სპეტაკი! როგორ გავწირო მისი უცოდველი სული! განა რით დაიმსახურა ასეთი სასტიკი ხვედრი! მაგრამ თუ მას ცოცხალს დავტოვებ, როგორღა ვიცხოვრო ათასობით ადამიანის ცოდვით! რა გამახარებს ან მე ან მას, თუკი გვეცოდინება რომ ბავშვების სიკვდილში მიგვიძღვის ბრალი... მაგრამ ბავშვია, დიონისიაც ჩემთვის ბავშვია!!! ვაიმე, ღმერთებო!!!

შემოდის დიონისია:

მამა!

ალესანდროს სახეზე ცრემლები ჩამოუვა:

დიონისია!

დიონისია:

მე ყველაფერი მესმოდა, მამა.

ალესანდრო(გულში ჩაიკრავს):

მაპატიე!

დიონისია:

არაფერი გაქვს საპატიებელი. ეს ხომ შენი ბრალი არ არის.

ალესანდრო:

მაპატიე, რომ ვერც ქვეყანა დავიცავი და ვერც შენ დაგიცავ.

დიონისია(მიმქრალი ხმით);

ვიცი, რომ, როგორც მეფე, ვალდებული ხარ დაიცვა შენი ხალხი და ქვეყანა, მაგრამ, მამა... მეც მინდა

სიცოცხლე!

ალესანდრო:

ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვას ვამჯობინებდი ახლა აქ დგომას და შენი ცრემლიანი თვალების ხილვას! არ ვიცი რა დანაშაული მიმიძღვის, რა შევცოდე ასეთი ღმერთების წინაშე, რომ ასე სასტიკად მსჯიან!

დიონისია:

მე დავემორჩილები შენს გადაწყვეტილებას, მამა! როგორიც არ უნდა იყოს იგი!

ალესანდრო:

შენ რას იზამდი, დიონისია, ჩემს ადგილზე რომ იყო?

დიონისია:

არ ვიცი, მამა, არ ვიცი...

    შეყოვნდება, მერე კი ამბობს:

მე, ალბათ, შენ აგირჩევდი.

ალესანდრო:

ოჰ, ღმერთებო!

დიონისია:

მე არ მეყოფოდა არც ძალა და არც გამბედაობა შენს მოსაკლავად და ამის გამო მრცხვენია, მამა! რადგან უპირველესი მიზეზი, რის გამოც ან ნაბიჯს ვერ გადავდგამდი, არა შენდამი სიყვარული, არამედ ჩემი ლაჩრული ბუნებაა!

ალესანდრო:

რას ამბობ, დიონისია?!

დიონისია:

ყველა ადამიანის, მეტადრე კი სამეფო ოჯახის წევრია ვალია, რომ სამშობლოსა და თანამოძმეების კეთილდღეობა- დიადი საქმის სამსახური პირად გრძნობებზე მაღლა დააყენოს! თითოეულ ჩვენგანს უნდა შეეძლოს, რომ როცა საქმეს დასჭირდება, გული დაადუმოს და ისე მოიქცეს, როგორც ეს ხალხისთვის იქნება უკეთესი! მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მე ასეთი არ ვარ მამა! არ ვარ იმდენად მამაცი, რომ შენი სიცოცხლე ხელვყო! უზომოდ მიყვარხარ და ვერც ამ სიყვარულს გადავაბიჯებ ოდესმე! მე ახლაც მეშინია, სიკვდილის, მამა! რა ვქნა, არ მომმადლა განგებამ მტკიცე სული და უდრეკი გული! შენ კი ეს გაქვს, ამას ვგრძნობ და ამიტომაც , ზუსტად ვიცი, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ!

ალესანდრო:

რა გინდა რომ ვქნა, დიონისია?

დიონისია:

ჩემს გულს უნდა რომ შორს, ძალიან შორს წავიდეთ და ახალი, ბედნიერი ცხოვრება დავიწყოთ, მაგრამ გონება ხვდება რომ ასე არ უნდა მოიქცე.

(კაბის ქამრიდან შხამს ამოიღებს.)

მიბრძანე და ახლავე შევსვამ, მამა!

ალესანდრო:

არა, არა, არა და არა! ამას ვერ ვიზამ! სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტებ, მე ხომ შენს მეტი არავინ მყავს, დიონისია!

დიონისია:

-გყავს, მამა! ხალხი და სამეფოა შენი ოჯახი!

ალესანდრო:

მაგრამ შენ ჩემი შვილი ხარ! ჩემი საყვარელი და ერთადერთი შვილი!

დიონისია:

ნუ იღელვებ ჩემზე, მამა! ღმერთები კარგ ადგილას წამიყვანენ!

ალესანდრო:

მაგრამ შენ გეშინია, გეშინია სიკვდილის, ჩემო პატარა!

დიონისია (ოდნავ შესამჩნევად იღიმის):

სიკვდილის ვის არ ეშინია?

ალესანდრო (ისევ გულში ჩაიკრავს):

-არ შემიძლია! ამას ვერ გავაკეთებ!

(ხმლების ჟღარუნისა და ჭახაჭუხის ხმა ძლიერდება)

დიონისია:

დრო იწურება, მამა, სხვა გზა აღარ გაქვს!

ალესანდრო:

არ შემიძლია!

დიონისია (უახლოვდება და ლოყაზე ხელს ადებს):

მე მუდამ მეყვარები, მამა, ეს არასოდეს დაივიწყო!

ალესანდრო: მახსოვს, სახეზე ცრემლები წამომივიდა, პირველად რომ გავიგონე შენი ტირილი... მკლავზე ნაზად გადაგიწვინე, ჯერ კიდევ მოჭუტულ თვალებში ჩაგხედე და დაგპირდი, რომ არასოდეს არაფერს მოგაკლებდი და ყველაფერს ვიღონებდი, რომ აღარასოდეს გეტირა! მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი ამ პირობის შესრულებას! ცივ ნიავს არ გაკარებდი, ყველა სურვილს გისრულებდი, იმ დღეზე ვოცნებობდი, როდესაც ჩემი ხელით დაგადგამდი თავზე გვირგვინს და კრეტის დედოფლად გამოგაცხადებდი! არასოდეს შემეძლო შენს თვალებში ცრემლების დანახვა! არ შემეძლო შენს სახეზე ბედნიერების გარდა სხვა რამ გრძნობა ამომეკითხა! ნუთუ არ გესმის, დიონისია, რომ უშენოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნება?! ნუთუ არ გესმის, რომ შენი გულისთვის ვცოცხლობ?!

დიონისია:

მესმის, მამა, როგორ არ მესმის, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებ, რომ შენ ჩემს გარდა კიდევ გყავს შვილები! ხალხი, ხალხია შენი შვილი და უპირველესად მასზე ზრუნვა გმართებს! არ მოგატყუებ და არ გეტყვი, რომ სიკვდილის არ მეშინია, არც იმას გეტყვი, რომ სადღაც გულის სიღრმეში იმედის ნაპერწკალი არ მიკიაფებს, ნაპერწკალი, რომელსაც სჯერა, რომ ვიცოცხლებ! მაგრამ მე ვერ დავუშვებ, რომ ეგოიზზმა წამართვას ის, რაც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის- სიკეთე! სიკეთე და სიყვარული! მე ხომ კრეტის დედოფალი უნდა ვყოფილიყავი, მამა, ეს ხალხი, ახლა, რომ მტრის შიშით კანკალებს, განა ჩემი შვილი არ უნდა გამხდარიყო?! განა მე არ უნდა გავმხდარიყავი ფარი, რომელიც მათ იცავს?! ახლა კი ეს შანსი მომეცა, მამა და მზად ვარ რომ გმირულად მოვკვდე!

ალესანდრო:

შენი ასეთი სიტყვებ, ასეთი სპეტაკი თითქოს ჭრილობაზე მარილს მაყრის და ასმაგად მიძნელებს არჩევანის გაკეთებას!

დიონისია:

არა, მამა, ნუ ამბობ ასე!

ალესანდრო:

გაჩენის დღეს ვწყევლი, დიონისია!

(ხმლების ჟღრიალის ხმა ძლიერდება)

დიონისია:

დრო აღარ ითმენს, მამა! მე მხოლოდ შენს გადაწყვეტილებას ველოდები!

ალესანდრო:

ვაიმე, ღმერთებო!

დიონისია (მიმქრალი ხმით):

გელი, მამა!

ალესანდრო(მკლავებზე ხელებს შემოხვევს):

დიონისია! იმ დღეს ვწყევლი, როდესაც ამ ქვეყანას მოვევლინე, იმ წუთს, როცა დავიბადე! ვაი, რომ ვხვდები, ვხვდები, სიმართლეს ამბობ! მეფე ვარ და პირველ რიგში ჩემს ხალხზე ზრუნვა მმართებს! (ამ სიტყვებთან ერთად დიონისიას შხამით სავსე ფიალას გამოართმევს, ტუჩებთან მიუტანს და დაალევინებს)

დიონისია მუხლებზე ეცემა, ალესანდრო მკლავებს შემოხვევს.

დიონისია:

მე ვამაყობ შენით, მამა, სწორად მოიქეცი. ხალხის სიცოცხლე იხსენი!

ალესანდრო:

ღმერთები ელისეის მინდვრებზე წაგიყვანენ, დიონისია. იქ გმირებსა და კეთილშობილ სულთა შორის ჰპოვებ სამუდამო განსასვენებლს. აღარასოდეს დაიტანჯები, ვერავინ შეძლებს რაიმე გავნოს! ამქვეყნიური სატანჯველი შორს იქნება შენგან! მწვანით მოსილ მდელოზე ისეირნებ,

სახეზე ნაზი სიო მოგელამუნება, სმენას კი ჩიტების გალობა დაგიტკბობს! სულ მალე კი მეც შენთან მოვალ და ერთმანეთს ვერასოდეს ვეღარაფერი დაგვაშორებს!

ალესანდრო:

ნუ შეშინდები, შენ მხოლოდ ბედნიერება მოგელის!

დიონისია (სუნთქვა უჭირს):

-მაგრამ, მე ხომ არ ვიცი, იქ რა ხდება, რა მელოდება სიკვდილის შემდეგ?

ალესანდრო:დიონისია:

მეშინია, მამა!

ის ბედნიერება, რომელსაც ასე იმსახურებ და რომელიც ამქვეყნად ვერ ჰპოვე.

დიონისია:

ვეღარაფერს ვგრძნობ, შენი აღარ მესმის მამა...მამა... (კვდება)

ალესანდრო (თვალებს დაუხუჭავს, თან ტირის):

შვილო...შვილო...ჩემო უცოდველო, უმანკო ბავშვო! ვისთვის რა დაგიშავებია, ვისთვის რა გივნია, რომ ასეთი აღსასრული გერგო ბედად. რატომ?! რატომ ხარ, ცხოვრებავ, ასეთი უსამართლო? როგორ შეგიძლია ასე დაუნდობლად მოექცე შენს საუკეთესო ქმნილებებს? რატომ ისჯებიან უცოდველები ყოველთვის ყველაზე მეტად? რატომ გამოსდით ცბიერთ ყველაფერი, რატომ აქვთ

კარგი გულის მქონეთ სამარე გათხრილი? რა დააშავა, რა დააშავა ჩემმა უმანკო ბავშვმა, ჩემმა სპეტაკმა ყვავილმა? წყეულიმც იყავთ ღმერთებო!

(შემოდის სიკეთე, ალესანდროს უახლოვდება და მხარზე ნაზად ადებს ხელს):

შენ უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსენი, დიდო მეფეო, შენი ხალხი ამას არასოდეს დაგივიწყებს.

ალესანდრო:

გამშორდი, გამშორდი, ავსულო! შენ არაფერი ხარ თუ არა შენიღბული ბოროტება!

სიკეთე:

მწუხარებამ გონება დაგიბინდა!

ალესანდრო:

პირიქით, არასოდეს მიაზროვნია ისე საღად, როგორც ახლა ვაზროვნებ! ახლა ვხვდები ყველაზე უკეთ, რომ ეს ცხოვრება არაფერია თუ არა ერთი დიდი სიბნელე! ქვესკნელი, რომელშიც ნათელი წერტილი არ არსებობს! ცხოვრება ის ადგილია, სადაც უდანაშაულოთ სისხლი სიკეთის სახელით იღვრება!

სიკეთე:

გადახედე შენს ხალხს, დიდო მეფეო, გადახედე პატარა, დაუცველ ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეც შენ და შენმა უკეთილშობილესმა ასულმა იხსენით! განა საცოდაობა არ იქნებოდა, რომ მათ უმანკო

სახეებს მიწა დაჰყროდა, განა ეს არ იქნებოდა ბოროტება? შეხედე შენს ხალხს, შეხედე შენს

გადარჩენილ სულებს და ჩამოწოლილ უკუნეთში სინათლის სხივს დაინახავ!

ალესანდრო:

მაგრამ, ჩემმა ასულმა რა დააშავა? განა ის არ იყო უდანაშაულო?

სიკეთე:

სამწუხაროდ, ზოგჯერ დიადი საქმე მსხვერპლს მოითხოვს, ათასის გადარჩენა კი ერთის გაწირვას!

ალესანდრო:

მაგრამ ნუთუ ის ერთი ცოდვა არ არის? ნუთუ იმ ერთს არ წყურია სიცოცხლე? როგორ შეიძლება

უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლზე სიკეთე აღმოცენდეს?

სიკეთე:

რომ იცოდე რამდენი მოკვდავისგან მომისმენია ეს შეკითხვა?! მაგრამ, ვაი, რომ არ შემიძლი

პასუხის გაცემა!

ალესანდრო:

შენ თუ არა, მაშ ვის შეუძლია?

სიკეთე:

არავის! ამ კითხვაზე ერთი კონკრეტული პასუხი არ არსებობს!

ალესანდრო:

თუ ასეა, მაშ არც შენ არსებობ!

სიკეთე:

რას გულისხმობ?

ალესანდრო:

თუ ერთიდაიგივე ქმედება შეიძლება ზოგისთვის სიკეთე იყოს, ზოგისთვის კი ბოროტება, ეს ნიშნავს რომ ყველაფერი ნაცრისფერია და თუ ყველაფერი ნაცფიაფერია, მაშინ არც შენ გიარსებია ამქვეყნად ოდესმე და არც ბოროტებას!

სიკეთე:

არ გაქვს უფლება ასეთი სიტყვები მითხრა!

ალესანდრო:

გგონია რამედ დაგიდევ, რისი უფლება მაქვს და რისი არა? ერთი წამით რომ ჩაგახედა ჩემს გულში, ერთი წამით რომ გაგრძნობინა ის საშინელი ტკივილი, შიგნიდან რომ მწვავს...

სიკეთე (აწყვეტინებს):

მე ვიცი, ვიცი, რასაც გრძნობ!

(სცენაზე შემოდის სიკვდილი):

ეგ ყველამ იცის!

ალესანდრო:

მოდი, მოდი, მიიღე რაც ასე გსურდა! ახედე, დახედე დიონისიას! ახედე მის უმაკო, უცოდველ სახეს, ღვთაებრივი სიმშიდე რომ გადაჰფენია! ომ მიიღე რაც გინდოდა?!

იკვდილი (მხრებს აიჩეჩავს):

მე არაფერი მინდოდა!

ალესანდრო:

შეასრულე შენი პირობა?

სიკვდილი (ჩაიცინებს):

როდის იყო სიკვდილი დანაპირებს არ ასრულებდა? შენი მტერი განადგურებულია, შენს ხალხს კი აღარაფერი ემუქრება.

ალესანდრო:

ჩემი თავის მიკვირს, კიდევ რომ შემიძლია რამე გამიხარდეს.

სიკეთე:

შენი ცხოვრება ამით არ დასრულებულა, დიდო მეფეო, ცხოვრება კიდევ ბევრჯერ გაგრძნობინებს ბედნიერებას, შენ ეს დაიმსახურე!

ალესანდრო:

არ მეგონა უდანაშაულო სისხლის დაღვრისთვის ჯილდოს თუ დავიმსახურებდი!

სიკეთე:

ჯილდო იმისთვის გეკუთვნის რომ მრავალი უდანაშაულოს სიხლის დაღვრას შეუშალე ხელი! ცხოვრება ამას არ დაგივიწყებს!

ალესანდრო:

კი დიონისიას დაუვიწყა...

სიკეთე:

დიონისიას სამარადისო ნეტარება მოელის.

სიკვდილი (ჩაიცინებს):

კი, თუ კი ასეთი რამ არსებობს.

ალესანდრო:

კმარა, კმარა! არცერთის დანახვა აღარ მსურს, მარტო დამტოვეთ, მარტო დამტოვეთ ჩემს ერთადერთ შვილთან!

სიკვდილი:

მე მხოლოდ ერთ ბატონს ვემორჩილები, ალესადნრო! ოცა ის მიბრძანებს შენთანაც მოვალ და თუ მართლაც არსებობს სიცოცხლე ჩემს შემდეგ, შენ და შენი ასული კვლავ შეხვდებით!

ალესანდრო:

ვინ არის შენი ბატონი?

სიკვდილი:

დრო. ის განაგებს ამქვეყნად ყველაფერს!

სიკეთე:

დღეს შენ სწორი გადაწყვეტილება მიიღე, დიდო მეფეო, ქვეყანა შენს წინაშე ვალშია.

(სიკეთე და სიკვდილი გადიან)

ალესანდრო:

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ჩემს გული ამხელა ტკივილის გაძლებას შეძლებდა! ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ ასეთი ულმობელი იქნებოდა სიცოცხლის შეგრძნება! ვწყევლი თითოეულ ამოსუნთქვას, სისხლის თითოეულ წვეთს რომელიც ჩემს ძარღვებში მიედინება! ვწყევლი იმ დღეს როდესაც ქვეყნიერებას მოვევლინე! ვაი, რომ მეფე ვარ და არ მაქვს უფლება ჩემი ხალხი მივატოვო! ვაი, რომ ქვეყანას ასე ვერ მოვექცევი! ნეტავ შემეძლოს ხანჯალი დაფლეთილ გულში ჩავიცე და შენ წამოგყვე, დიონისია!

(დიონისიას უსულო სხეულს ხელში აიყვანს და გულზე მიიკრავს)

ეს სამყარო ერთი დიდი ლაბირინთია, რომელშიც თუ ერთხელ შეხვედი, უკან ვეღარასოდეს

გამოხვალ! ამ ლაბირინთში ბედნიერი დღეებიც მქონია და უბედურიც, სიხარულიც გამომიცდია

და საშინელი მწუხარებაც! ღეს კი ეს ყველაფერი, სამუდამოდ, უკან დარჩა მე მანამ ვიქნები

უსიცოცხლობის, ტკივილისა და სევდის ტყვე, მანამ ჩემი ამქვეყნიდან წასვლის ჟამიც არ დადგება!

მანამდე კი, მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით ღმერთებო: ნეტავ, არასდროს გაგეჩინეთ!

(გადის)

დასასრული